



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11(10.019)

9-16 აპრილი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა



„თუ

საქართველო

არ იქნება

თავისუფალი“...



9 აპრილის ტრაგედიიდან 33 წელი გავიდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუზურ პაპიაშვილმა 9 აპრილს გარდაცვლილთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს.

9 აპრილს დაღუპული გმირების სულების მოსახსენიებელი პარაკლისი მამა ნიკოლოზმა (ლომსაძე) გადაიხადა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „მეცხრე წელია, რაც დედოფლისწყაროს მერი ვარ და ყოველ 9 აპრილს ამ სტატუსით აღვნიშნავ ამ თარიღს. 9 აპრილი და მისი მნიშვნელობა ჩემს მეხსიერებაში გაცილებით ადრეული ასაკიდან მოდის- 1989 წელს სკოლაში შევედი და პირველი კლასის მოსწავლემ უკვე ვიცოდი, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ბავშვობიდან აღვნიშნავთ 9 აპრილს, როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ და ამავე დროს, ამაღლებულ თარიღს“-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და გულისტკივილით გაიხსენა მეუფე დიმიტრი. „2015 წლიდან მოყოლებული, დედოფლისწყაროს ტაძართან ვიკრიბებოდი და მეუფე დიმიტრისთან ერთად მოვდიოდით 9 აპრილის მემორიალთან და მასთან ერთად მივაგებდით ხოლმე პატივს გმირებს, რომელთაც ყველაზე ძვირფასად აღვნიშნავთ.“

სი-თავიანთი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. წელს პირველი ცხრა აპრილია, როდესაც მეუფე ჩვენთან ერთად აღარაა და ეს ფაქტი ძალიან დიდ გულისტკივილსა და სევდას იწვევს.“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ადამიანს, ვინც დღეს პატივი მიაგო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ წელსაც არიან მოსული ბავშვები მემორიალთან, რომელთაც უკვე იციან 9 აპრილის, როგორც მნიშვნელოვანი თარიღის არსი. „ამ პატივებმა უნდა იცოდნენ, რამხელა გმირობა ჩაიდინეს ამ ადამიანებმა, ვის ხსოვნასაც პატივს მივაგებთ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ იმხელა იმპერიაში, საბჭოთა კავშირში, 1989 წლის 9 აპრილი იყო პირველი დიდი გარდატეხის შემტანი და შემდგომი პროცესების დამაჩქარებელი. ჩვენმა გმირებმა მხოლოდ საქართველოს საქმე კი არ გააკეთეს, არამედ გამოანთავისუფლეს 15 ქვეყანა და მათ დამოუკიდებლობას დაუდეს სათავე და ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ორი წლის შემდეგ, 1992 წელს, ზუსტად 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. წელს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის 31 წლისთავს და 9 აპრილის ტრაგედიიდან 33 წლისთავს ერთდროულად აღვნიშნავთ.“

ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ ყოვე-

ლწლიურად მოვიდეთ და პატივი მივაგოთ გმირებს, რომელთა გაბედულებამ სათავე დაუდო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.“

ნუზურ პაპიაშვილი- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: „1989 წლის 9 აპრილს მე უკვე სტაჟიანი მასწავლებელი ვიყავი და ჩემს მოსწავლეებთან ერთად ყოველდღე დავდიოდი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მიტინგებზე. იქ ვიყავით 9 აპრილსაც, დარბევის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დავტოვეთ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, რადგან ბავშვები სახლში უნდა დამებრუნებინა. რამდენიმე საათში ეს ტრაგედია დატრიალდა. მეორე დღეს სურათი იყო საკმაოდ მძიმე: სისხლის გუბეები რუსთაველზე, ცალ-ცალი ფეხსაცმელი-საშინელი სანახავი იყო. კომენდანტის საათი და ტანკები თბილისის ყველა კუთხეში... ქართველებმა ეს საშინელება არაერთხელ გამოვიარეთ, რუსული ჩექმის სისასტიკეც ვიგემეთ 9 აპრილსაც, შემდეგ აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც... ამიტომ არ მიკვირს მათი სისასტიკე უკრაინაში.“

მთავრობის გადაწყვეტილებით, თბილისის 10 ქუჩას კიდევ დაერქმევა 9 აპრილის გმირების სახელი და მიმაჩნია, რომ ეს საუკეთესო შესაძლებელია მათი სულების პატივისცემისა და სახელების უკვდავყოფისთვის!

დიდება გმირებს!“

9 აპრილი საქართველოსთვის საკრალური თარიღია. ამ დღემ გაშინ სათავე დაუდო არა მხოლოდ ძველს და მოუპოვებლობას, არამედ ქართველთა ერთიანობას და სიყვარულს. მაშინ ყველა გაერთიანებული იყო ერთი იდეის გარშემო, ყოველგვარი პოლიტიკური დივიდენდების ჩანარის, რაიმე პირადი გამორჩენის გარეშე.

33 წლის წინ, მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში შეგზარაპი ტრაგედია დატრიალდა, 1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის სადასჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს. დაღუპულებს შორის, რომელთა რიცხვმა 21 შეადგინა, უმეტესობა ქალები იყვნენ, მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც. ამას გარდა იყვნენ დაჭრილები და დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოინამლა 2000-მდე ადამიანი.

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაენარა ტრაგედიის და ამავედროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

ინგა შიოლაშვილი

პრეზიდენტმა მსჯავრდებულნი შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა 9 აპრილთან დაკავშირებით შეწყალების აქტი გამოცხადდა და 15 მსჯავრდებული შეიწყალა, მათ შორის 7 ქალია, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებებს დღეს, 9 აპრილს დატოვებენ. შეწყალებულითაგან 6 მსჯავრდებული უკრაინის მოქალაქეა.

ფინანსური რისკები და აღმართა უფლებების დახვეწა

გრძელდება დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პროექტი „აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში ადამიანთა უფლებების გაძლიერება ცნობიერების ასაძაღვლებელი პრევენციული ღონისძიებების გატარებით და რეგიონის მცხოვრებთა ინფორმირება ფინანსური რისკების და ვალდებულებების შესახებ“.

ონლაინ ყიდვების და ონლაინ თამაშების დროს სიფრთხილის გამოჩენაზე. სამომავლოდ კი - ფინანსების სწორად მართვასა და ხარჯვაზე, რათა არ აღმოჩნდნენ ფინანსური სიდინელების, კონფლიქტების და დანაკარგების წინაშე. მოგვიანებით, ამევე პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი სოფელ ზემო მანხანის საჯარო სკოლის პედაგოგებთან.

პირველი შეხვედრა გაიმართა სოფელ ზემო მანხანის საჯარო სკოლის მოზარდებთან. პრეზენტატორმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს უფროსმა ხათუნა გაზდელიანმა მოსწავლე-ახალგაზრდებს წარუდგინა თემა - „მოზარდებში შეუსრულებელი ვალდებულებებისა და ვალაუვალობის შესახებ ცნობიერების ამაღლება - „ვალისკოლისი“ - ანუ რა უნდა იცოდნენ მოზარდებმა ვალის, ფინანსური ვალდებულებებისა და ადმინისტრაციული სახელის შესახებ; რის უფლება აქვთ და რას უნდა მიაქციონ ყურადღება თავიდან და სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევაში, როგორ უნდა დაიცვან თავი არასასურველი ვალისგან; რა უნდა გაითვალისწინონ თავდებობისა და სალომბარდო გირაცობის დროს; რა ვადებში უნდა გადაიხადონ ადმინისტრაციული ჯარიმა, რათა თავიდან აიცილონ დამატებითი ხარჯები, არ აზარალონ და გამოუვალ სიტუაციებში არ ჩააგდონ მეგობრები, ახლობლები და ოჯახის წევრები(მშობლები). ტრენინგმა პრაქტიკული მაგალითებით და ანიმაციური სიუჟეტების ჩვენებით, პრეზენტაციის დროს, მარტივად აუხსნა მოზარდებს იმ შეცდომების არსი, რაც სიუჟეტის გმირებმა დაუშვეს. ამის შემდეგაც დაისვა კითხვები, გაკეთდა კომენტარები და შეფასება ფაქტები.

1. „სააღსრულებო სისტემა, სხვა ქვეყნების პრაქტიკა- აღსრულების შერეული სისტემები. საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნები,ხედვები, ამოცანები, სტრატეგიული გეგმები, ღირებულებები, ურთიერთობა საზოგადოებასთან“;

2. სააღსრულებო პროცედურები, რა ეტაპებს გადის საქმის წარმოება კრედიტორის მიერ განცხადების შემოტანიდან მის აღსრულებამდე; ზოგიერთ საქმეთა აღსრულების სფეროში (სამსახურში აღდგენა-განაცდელი, ალიმენტი, ნივთის უკანონო მფობელობიდან გამოთხოვა, გამოსახლება, თავდებობა);

პრეზენტაციების შემდეგ ტრენინგი გაგრძელდა სადისკუსიო რეჟიმში და ბევრ საინტერესო თემასა და საკითხს შეეხო. განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა მესაკუთრის მიერ მოუწესრიგებელი დოკუმენტებით მიყიდული ქონების დარეგისტრაციის სირთულე, რომელიც ამ სკოლის ერთერთი პედაგოგისთვის ნლობით გადაუჭრელ პრობლემად იქცა. ტრენინგმა დაზარალებულ პროცედურულად აუხსნა, ვის უნდა მიმართოს და როგორ უნდა გაართვას თავი ამ გაუგებრობას ისე, რომ არ დაკარგოს ქონება და არ დაზარალებს ფინანსურად; ასევე მსჯელობის საგნად იქცა თავდებობის გამო დაზარალების შემთხვევები.

პედაგოგებმა მადლობა გადაუხადეს ტრენინგს და აღნიშნეს, რომ ამგვარი პრევენციული ხასიათის შეხვედრები ხშირად უნდა ტარდებოდეს, რომ ადამიანებმა გაიგონ, როგორ აარიდონ თავი უზრუნველყოფის სიტუაციებს და ფინანსური დანაკარგებს, რაც არცთუ იშვიათია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნითელი ჯვარი ჩვენს სამსახურში...

დედოფლისწყაროს ნითელი ჯვრის ორგანიზაცია 2016 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მისიაა, დაეხმაროს უმწეო ადამიანებს საგანგებო შემთხვევებსა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში. ამ წლების განმავლობაში გაზეთი პერმანენტულად აშუქებს ნითელი ჯვრის ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საქველმოქმედო თუ სამედიცინო მომსახურების აქციებს და ჩვენს მოსახლეობას მუდმივი წვდომა აქვს მათ მუშაობაზე. ამ დღეებში კიდევ ერთხელ ვენვიეთ ნითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელს, ექიმ-გინეკოლოგს, ქ-ნ ნათელა თამაზაშვილს მათი ახმეტაში ვიზიტის გასაშუქებლად.

-მოგესხენებათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია მუდამ გვერდში უდგას მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს



და ჩვენი სათაო ოფისის, მუნიციპალიტეტის მერიის და სოციალური სამსახურის ერთობლივი მუშაობით სრულ მზადყოფნაში ვართ აღნიშნული ჯგუფების მარტოხელა პენსიონერების, შშმ, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასახმარებლად. 2021 წელს წელს ჩვენთან უფასო სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 1107 ჩვენს თანამოქალაქეს. გასულ წლებში ეს რიცხვი 5000 -ს აღწევდა, თუმცა, პანდემიის გამო წელს შედარებით დაბალ ნიშნულზე ვართ, მაგრამ, ვხედავთ,რომ წელ-წელა ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდება და ჩვენც მალე წინა წლების მაჩვენებელსაც გავცდებით. საქართველოში მხოლოდ დედოფლისწყაროს გვყავს ყველა პროფილის ექიმი და გამოკვლევა-ანალიზებიც შესაბამისად უტარდება თითოეულ ბენეფიციარს. გასული წლის განმავლობაში ოთხჯერ განვახორციელეთ ჰუმანიტარული აქციები და საერთო ჯამში დავხმარეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 505 ოჯახს- სასურსათო კალათით, ტანსაცმლით და სხვა საყოფაცხოვრებო საშუალებებით.

ამჯერად, 2-3 აპრილს ჩვენი მობილური სამედიცინო ჯგუფები მოსახლეობის დაუცველ ჯგუფებისთვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გა-

ლიტერატურული პრემია საბას საიუბილეო კონკურსში გურჯაანელი მწერლის მონაწილეობს.

ლიტერატურული პრემია "საბას" საიუბილეო კონკურსში გურჯაანელი მწერალიც მონაწილეობს.

მიხეილ მღებრიშვილის წიგნი „კამოდის 12 უჯრა“, საუკეთესო რომანის ნომინაციაზეა წარდგენილი. მღებრიშვილის რომანს, შვიდი ქართველი მწერლის ნაწარმოები გაუწევს კონკურენციას.

„თავისთავად წარდგენა უკვე იმას ნიშნავს, რომ მწერალმა რაღაც მნიშვნელოვანი შექმნა. ეს არის ანბანი, საქართველოს ყველა კუთხიდან და პერსონაჟებს რეალური პროტოტიპები ჰყავს. ძალიან მადლიერი ვარ მათი, ვინც წიგნის გამოცემაში მონაწილეობდა. ყიური იმუშავეს, არ იქნება მარტივი ამოცანა, მაგრამ ერთი გამარჯვებული გამოვლინდება“- ამბობს მღებრიშვილი.

საბას პრემიაზე წარდგენილი რომანი, გურჯაანელი მწერლის მეორე ნაწარმოებია. მღებრიშვილს ლიტერატურული საზოგადოება უკვე იცნობს მოთხრობების კრებულით, „ვარსკვლავების ჩამომკრეფი“.

2021 წელს ლიტერატურული პრემიის ფინალისტებს შორის, კახეთიდან, პანკისელი უხუცესი ხასო ხანგოშვილი დასახელდა, რომლის ნაწარმოები საუკეთესო ესეისტიკასა და დოკუმენტური პროზის ნომინაციაზე წარდგენილი 200-ზე მეტი ავტორი უკვე დასახელდა. ფინალისტების ვინაობა ივლისში გახდება ცნობილი, ხოლო დაჯილდოების საზეიმო ცერემონია სექტემბერში გაიმართება.



ზრდის მიზნით ვიმყოფებოდით ახმეტის მუნიციპალიტეტში მორიგი საქველმოქმედო აქციის ჩასატარებლად. -აცხადებს „შირაქთან“ საუბარში ქ-ნი ნათელა თამაზაშვილი.

მალაქვალაფიციურ ექიმთა გუნდმა (გინეკოლოგი ნათელა თამაზაშვილი, რადიოლოგი ირინა მოდებელი და ნინო სირაძე, ოფთალმოლოგი ნინო კალატოზიშვილი, კარდიოლოგი ნინო ფურცელაძე, თერაპევტი, ენდოკრინოლოგი მია ბეგიაშვილი) 140-ზე მეტ ბენეფიციარს ჩაუტარა სამედიცინო დიაგნოსტიკური კვლევა და გაუნია კონსულტაცია სრულიად უსასყიდლოდ.

დროული დიაგნოსტიკა ერთგვარი პრევენციაა და შემდგომი გართულებების თავიდან აცილების კარგი საშუალებაა. მინდა, მადლობა გადავუხადო ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ალექსი ფიცხელაურს, საქ. ნითელი ჯვრის საზოგადოებას, ნორვეგიის ნითელ ჯვარს და მალაქვალაფიციურ ექიმთა გუნდს, რომელთაც ექიმი-გინეკოლოგი ნათელა თამაზაშვილი ხელმძღვანელობდა.- განაცხადა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა თამარ ყვინიშვილმა.

ზემოაღნიშნული აქციის დაგეგმვა-სა და განხორციელებაში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს ნითელი ჯვრის საზოგადოების ახმეტის

ფილიალის თანამშრომლები და მოხალისეები, რომელთაც ნორვეგიის ნითელი ჯვრისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შეძლეს მოხალისეობრივი ინიციატივის „ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისა“ განხორციელება. დასასრულს, ძალგატონება ნათელა ჩვეთთან საუბარში აღნიშნა, რომ სააღდგომო დღესასწაულების შემდეგ მათ ასეთივე ვიზიტები აქვთ დაგეგმილი მაღალმთიანი აჭარის რეგიონში,პარალელურად დაგეგმილი აქვთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის ეტაპობრივი განხორციელება. იგაგმათ თქვენი ორი სოფლის მოსახლეობის მონაწილეობა აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

ესაუბრა ილზა ხარაშვილი

საქართველოში წარმოებულ სასუქზე დეფისიტია...

დედოფლისწყაროში მარცვლეული კულტურების ნათესავს სასუქი სჭირდება, თუმცა, ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე სერიოზული დეფისიტია. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილმა განაცხადა.

აზოტოვანი სასუქების ადგილობრივ მწარმოებელ „რუსთავის აზოტს“ საქონლის რეალიზებისას თითოეულ ფერმერზე მხოლოდ 10 ტონამდე სასუქის გაყიდვა აქვს დაშვებული, რის გამოც ფერმერები გამოწვევების წინაშე დგებიან - ეს პრობლემა ფერმერებთან შეხვედრისას გაცხადდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილმა განაცხადა, რომ იმპორტირებულ სასუქებთან და პესტიციდებთან მიმართებით ბაზარზე პრობლემები არ არის, რადგან იმპორტიორებს მოთხოვნის 95% უკვე შემოტანილი აქვთ.

„ყველაზე დიდი პრობლემა იმ სასუქზეა, რომელიც ქვეყანაში იწარმოება“, ფერმერებს აზოტოვანი სასუქების შეძენისას ორი პრობლემა ექმნებათ, სამინისტრო

ტრო კი „რუსთავის აზოტთან“ ბაზარზე არსებული დეფისიტის შესავსებად მუშაობს.

„აზოტოვანი სასუქები საკმაოდ მძიმე პრობლემაა. პირადად ვესაუბრებით კომპანიის ხელმძღვანელებს. აქ ორი პრობლემაა: პირველი - პროდუქტის გაძვირება. გასულ წელს თუ აზოტის ფასი დღე-სთან ერთად 735 ლარი იყო, ახლა 1 349 ლარზეა ასული, ამას საერთაშორისო ბაზარზე ფასის ზრდა განაპირობებს. მეორე, რაც შეეძლება: „რუსთავის აზოტი“ დღეში 300 ტონა აზოტს ყიდდა, ჩვენი დიალოგის შემდეგ ეს მოცულობა 500 ტონამდე გაიზარდა. გასულ წელს ამ პერიოდში ადგილობრივი ბაზრისთვის დღიური მიწოდება 800 ტონა იყო, ამიტომ შევეცდებით, რომ წელსაც ადგილობრივი ბაზრის მომარაგება ამ მოცულობამდე გაიზარდოს.

ამასთან, „რუსთავის აზოტს“ გადატირთვა კვირაში 5 დღეს ჰქონდა და ახლა დაემატა შაბათიც. ანუ კვირაში 2 500 ტონა ტვირთი გადის ადგილობრივ ბაზარზე და თუ გემების დატირთვა არ აქვთ, კვირასაც ადგილობრივ ბაზარზე გააქვთ პროდუქტი. სამწუხაროდ, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვის მოცულობას ვერ ზრდიან, რადგან ექსპორტზე საქო-



ნელი 2 000 დოლარად გააქვთ, ქვეყნის შიგნით კი გაცილებით დაბალ ფასად იყიდება. კომპანიაში ამბობენ, რომ ეს მათთვის ზარალიანია.

ფაქტობრივად, სასუქზე ცოცხალი რიგებია და ეს ქართული სენია, ყველა ერთდროულად მიანყდა. შემოდგომაზე რიგები არ იყო და კომპანია იხვენებოდა, რომ პროდუქტი ეყიდათ, თუმცა არავინ ყიდულობდა - განაცხადა სამინისტროში.

ამაზე თავისი არგუმენტები აქვთ ფერმერებს. **„გვალვინი ზამთრის წყალობით, მოსავალს ისეთი პირი უჩანდა, რომ სასუქის შეტანას საერთოდ გადავწყვეტილი თუ არა, სათუო იყო. ბევრი ფერმერი ფიქრობდა, რომ წელს შირაქის ველი მოსავლის გარეშე დარჩებოდა“** - ამბობს ფერმერი ბენიკ თოფჩიშვილი, რომელიც ფერმერებთან მინისტრის მოადგილის შეხვედრას თავადაც ესწრებოდა.

გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ის განმარტავს, რომ სახელმწიფომ „იაფი კრედიტის“ პროგრამა კი ამოქმედდა, მაგრამ სასუქის შეტანა შესაბამის აგროვადებში უნდა მოხდეს, მაქსიმუმ, 10-14 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასუქის ყიდვას აზრი ეკარგება. **„კარგია, რო-**

დესაც ქართული სასუქი საექსპორტოდ გადის, მაგრამ რა ქნან ადგილობრივმა ფერმერებმა?“ - კითხულობს ის.

ბესიკ თოფჩიშვილმა სასუქის გარკვეული რაოდენობა უკვე შეიძინა, მაგრამ არიან ფერმერები, რომელთაც დეფისიტის გარდა თანხების პრობლემაც აფერხებთ.

ხორბლის მწარმოებელთა განმარტებით, ხორბლის ადგილობრივი წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე მისი იმპორტი. ამასთან, ადგილობრივ მწარმოებებს აგროსესხებზე ხელი ნაკლებად მიუწვდებათ, რადგან მაღალი რისკების გამო ბანკები მათი გაცემისაგან თავს იკავებენ.

„მსხვილ ფერმერებს იაფი კრედიტი მისცეს, ჩვენ, წვრილი ფერმერები კი ასეთ ფუფუნებას მოკლავალი ვართ. ამიტომ, ჩვენთვის სასუქის არქონაზე გმთი მიზანი თანხების დეფისიტია“ - ამბობს ისინი, პრემიისა და სასუქის ყიდვა და მინის განყოფილება „რუსთავის აზოტზე“ ფასის სერიოზული ზრდის გამო პრობლემატურად ქცეულა.



როგორ გავზარდოთ ხორბლის მოსავალი?

დედოფლისწყარო აბრარული რაიონი, შირაქის ველი კი-ქვეყნის პურის ბაელი. დღეს, როდესაც შირაქის საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, რუსეთს კი მსოფლიო საზოგადოება სანდციბას უნანსაბს, საპარტიველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება საგამგულო წარმოების ხორბალი.

შირაქის ველზე, მარცვლეული კულტურების მოსავალი, გვალვინი ზამთრის გამო, პესტიციტურ სურათს იძლეოდა. ამის შესახებ ლიად საუბრობდნენ ფერმერები. მარტში მოსულმა ნალექმა სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალა. ფერმერი ბესიკ თოფჩიშვილი, ათეული წლებია, სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწეობს და ხორბლის მოყვანითა დაკავებული. ის ამბობს, რომ დღეს არსებული სიტუაცია ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა:

„მარტის ნალექის შემდეგ ქარებმა მინა გამოაშრო, მაგრამ მარცვლეული კულტურების ნათესები ახლა გამოსწორდა. უნდა ითქვას, რომ ღმერთმა არ გაგვწირა და იმედი გაჩნდა, რომ ხორბლის და ქერის მოსავალი გვექნება. მინდორში მღრღნელი (თავი) გაჩნდა, მაგრამ ნამალი შევიტანეთ და ის მნიშვნელოვან ზიანს მარცვლოვან კულტურებს ვეღარ მიაყენებს“ - ამბობს თოფჩიშვილი.

დედოფლისწყაროელი ფერმერები იზიარებენ სახელმწიფო პოლიტიკის იმ ნაწილს, რომელიც ხორბლის ნათესების გაზრდას ითვალისწინებს, მაგრამ, ამისთვის აგრარული სექტორის მეტი ხელშეწყობაა საჭირო.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროში 55 000 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობია, აქედან 10

000 ჰა საგაზაფხულო ნათესებისთვისაა განკუთვნილი, ქერის ნათესს მიაქვს 30%, დანარჩენი არის ხორბლის ნათესისთვის განკუთვნილი ფართობი. ჩვენს მუნიციპალიტეტში ხორბლის მაქსიმალ-



ური მოსავლიანობა 200 000-250 000 ტონას შეადგენს, ჰექტარზე 3-4 ტონის მოყვანის შემთხვევაში.

ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილება ხორბლის წარმოებაზე ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მოთხოვნილებაც ხორბლის პროდუქტებზე, სხვა ხალხისაგან განსხვავებით გაცილებით მაღალია. საქსტატის მონაცემებით, ქვეყანაში ხორბალზე ყოველწლიური მოთხოვნილება 800 ათასი ტონაა.

სამწუხაროდ, ადგილობრივი წარმოება მხოლოდ 12%-ს აკმაყოფილებს.

ხორბლის ასეთი დაბალი წარმოება გამოწვეულია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური პირობებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კლიმატური ცვლილება. კლიმატის ცვლილებას-



თან ერთად ტრანსფორმაციას განიცდის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაც. აღნიშნული პრობლემის საპასუხოდ დღის წესრიგშია სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი ახლებური მიდგომა, რაც გულისხმობს დარგის გარდაქმნას იმგვარად, რომ გაიზარდოს მისი ეფექტიანად მართვისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოსათვის ხორბლის მარცვლის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ საქსტატი ყოველწლიურად ითვლის ქვეყნის ხორბლით თვითუზრუნველყო-

ფის კოეფიციენტს (საქართველოში წარმოებული ხორბლის რაოდენობის შეფარდება საქართველოშივე მოხმარებული ხორბლის რაოდენობასთან). აღნიშნული კოეფიციენტის ბოლო ათწლეულის მაქსიმალური სიდიდე დაფიქსირდა 2016 წელს და მან 19% შეადგინა, რაც მაინც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. საქართველოში ხორბლით უზრუნველყოფა სახელმწიფო გეგმის მიხედვით, 2030 წლისათვის 70%-ს უნდა მიუახლოვდეს. ამ მიზნის მისაღწევად ხორბლის კულტურის საშუალო მოსავლიანობა უნდა გაიზარდოს 3,5 ტ/ჰა-მდე.

დღეს მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა, უკრაინის ომის გათვალისწინებით, აუცილებელს ხდის საქართველომ დაიბრუნოს ხორბლის წარმოების ტრადიცია, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და უსაფრთხოებას.

დღევანდელი მოცემულობით, საქართველოში არსებული მარაგების დიდი ნაწილი უკრაინიდან და რუსეთიდან იმპორტირებული ხორბლითა და ხორბლის ფქვილით ივსება. როგორც მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რუსეთიდან იმპორტი, უკვე არსებული კონტრაქტებით, ჯერ არ შეჩერებულა.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ დედოფლისწყაროში ხორბლის მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდოს? - ამ კითხვაზე ფერმერებისა და დარგის ექსპერტების პასუხი ასე უღერს: სასუქი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ამინდი, ამინდი და ისევ ამინდი!

გვერდი მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ბენარიკული მედიკამენტები და რეცეპტის გაცემის ახალი წესი

ფარმაცევტული სფეროს გამჭვირვალობის, მოსახლეობისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მედიკამენტების უზრუნველყოფის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტრო, ფარმაცევტულ სფეროში რეფორმას ახორციელებს. ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს. რეფორმის შედეგად, 11 აპრილიდან ექიმი ვალდებული იქნება მედიკამენტი მხოლოდ გენერიკული ანუ საერთაშორისო დასახელებით გამოწეროს.

რა არის ბენარიკული მედიკამენტები?

საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო საზოგადოების დიდ ნაწილს უჭირს მედიკამენტების შეძენა. მედიკამენტების ღირებულებასა და საზოგადოების მიდევლობით უნართან დაკავშირებული ამ დიდი პრობლემის მოგვარებას ხელს უწყობს სამომხმარებლო ბაზარზე „გენერიკული მედიკამენტების“ გამოშვება. „გენერიკული მედიკამენტები“ საერთაშორისო სახელწოდებით გამოშვებული ნაწილებია, რომელიც მოქმედების მექანიზმით არ განსხვავდება ფარმაცევტული ფირმების მიერ დაპატენტებული სხვადასხვა სახელწოდებით წარმოებული მედიკამენტებისაგან. განსხვავება მხოლოდ ფასშია: „გენერიკული მედიკამენტები“ უფრო იაფია და ამდენად, უფრო ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის.

მედიკამენტების უმრავლესობას ჩვეულებრივ სამი სახელწოდება აქვს:

• ქიმიური სახელწოდება, რომლითაც მოქმედი ნივთიერების ქიმიური ბუნება და ჯგუფური კუთვნილებაა მითითებული (ქიმიური სახელწოდება პრაქტიკოსი ექიმისათვის და, მითუმეტეს, უშუალო მომხმარებლისათვის ნაკლებად ინფორმატიულია);

• გენერიკული სახელწოდება, ანუ მოქმედი ნივთიერების საყოველთაოდ მიღებული შემოკლებული სახელწოდება;

• სავაჭრო დაპატენტებული სახელწოდება, რომელიც მწარმოებელმა ფირმამ ფარმაცევტულ ბაზარზე გამოშვებულ მედიკამენტს მიანიჭა.

მაგალითად, ცნობილი მედიკამენტის „დიაზეპამის“ ქიმიური სახელწოდებაა 7-ქლორ-2,3-დიჰიდრო-1-მეთილ-5-ფენილ-1,4-ბენზოდიანზეპინ-2-ონი, გენერიკული სახელწოდება - დიაზეპამი; სავაჭრო სახელწოდებები - სიბაზონი, ვალიუმ-მი, სედუქსენი, რელანიუმი და სხვ. ამგვარად, დიაზეპამი ფარმაცევტულ ბაზარზე სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება, მაგრამ მოქმედი ნივთიერება ყველა სხენებულ შემთხვევაში ერთი და იგივეა. მაშასადამე, გენე-

რიკული მედიკამენტი ბაზარზე სხვადასხვა სახელწოდებით გამოშვებული დაპატენტებული და იმავე შედგენილობის ნაწილების იდენტურია, ე.ი. არ განსხვავდება მათგან შემდეგი მახასიათებლებით:

- ხარისხით
- ეფექტურობით
- დოზების სიდიდითა და მიღების წესით
- უსაფრთხოობით
- მოქმედების მექანიზმით

რაბოგაა ბენარიკული მედიკამენტები 30-60%-ით იაფი?

მიუხედავად იმისა, რომ გენერიკული მედიკამენტები ქიმიურად დაპატენტებული ანალოგების იდენტურია, მათი ღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლებია, რაც შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული:

• ბაზარზე გატანამდე ფარმაცევტული ფირმა ახალი მედიკამენტის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის დასადგენად სავალდებულო ექსპერიმენტული და კლინიკური გამოცდისათვის დიდ თანხებს ხარჯავს. მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება აგრეთვე პრეპარატის რეკლამირებაზე. ახალი ნაწილის გამომგონებელი კომპანია მის წარმოებაზე ექსკლუზიურ (განსაკუთრებულ) უფლებას, ანუ პატენტს იღებს. პატენტის ქმედითობა 17-20 წელია;

• კომპანია ყიდის ახალ მედიკამენტს სავაჭრო დაპატენტებული სახელწოდებით, ხოლო განუული მნიშვნელოვანი დანახარჯების დაფარვისა და მოგების მიზნით პროდუქციას შესაბამისად მაღალ ფასს ადებს;

• საპატენტო ვადის ამონურვის შემდეგ ნებისმიერ სუბიექტს შეუძლია აწარმოოს მოცემული მედიკამენტი გენერიკული ან ახალი სავაჭრო სახელწოდებით. ამგვარი მედიკამენტის წარმოება აღარ მოითხოვს მისი სამკურნალო თვისებების ხელახალ ექსპერიმენტულ და კლინიკურ გამოკვლევას, რაც დაპატენტებული პრეპარატების სიძვირის მიზეზია.

სწორედ ამიტომ, გენერიკული მედიკამენტების ღირებულება 30-60%-ით დაბალია დაპატენტებული ფორმების ღირებულებაზე. გენერიკული მედიკამენტების ნილი ფარმაცევტულ ბაზარზე მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და დიდი ბრიტანეთი, სადაც ექიმის დანიშნულებათა 40-50%-ს გენერიკული ნაწილები შეადგენს. გენერიკულსა და დაპატენტებულ ნაწილს ფორმებს შორის ძირითადი განსხვავება სახელწოდებაში, ფასში და არაექიურ შემადგენლებშია (მაგალითად, არომატიზატორები, შემავსებლები და ა.შ.), ხოლო მოქმედი ნივთიერების შემცველობით ისინი აბსოლუტურად იდენტურია. გენე-



ნერიკული მედიკამენტების წარმოება შესაბამისი ტექნოლოგიური სტანდარტების დაცვით ხორციელდება.

ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის დირექტორი ირაკლი მარგველაშვილი ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც აპრილიდან მხოლოდ გენერიკული მედიკამენტების გამოწერა იქნება შესაძლებელი და ექიმი კონკრეტული ბრენდის მითითებას ვერ შეძლებს. როგორც ირაკლი მარგველაშვილი bm.ge-სთან აღნიშნავს, ბრენდული მედიკამენტების გენერიკული ჩანაცვლება ამ რეალობაში ნაადრევი გადაწყვეტილებაა და იქამდე, სანამ ეს რეგულაცია ამოქმედდება, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული პრობლემების გადაჭრაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უარეს შედეგს გამოიღებს. „უპირველესად, გენერიკული მედიკამენტებისთვის მინიმალური ხარისხის სტანდარტი უნდა არსებობდეს, პაციენტს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ ყველა გენერიკი ხარისხით ერთმანეთის შესაბამისია - ეს სტანდარტი საქართველოში არ გვაქვს. ამასთან, გენერიკის უპირატესობა მის ფასში მდგომარეობს, მაგრამ საქართველოში ბევრი ასეთი პრეპარატი ბრენდულზე ძვირია, რასაც თავისი მიზეზები აქვს. პრობლემა ისიც, თუ ვინ შეურჩევს აფთიაქში მისულ მომხმარებელს გენერიკს, რომელიც მას ექიმმა დაუნიშნა? ზოგაერთ პრეპარატს ასამდე გენერიკი აქვს, პაციენტის ჯანმრთელობაზე ექიმი პასუხისმგებელი, შეიძლება თუ არა ფარმაცევტმა შეურჩიოს მას გენერიკი? გენერიკის გამოყენებამდე თუ არ მოგვარდა არსებული პრობლემები, მხოლოდ ამის შემოღება შედეგს ვერ მოგვცემს. კონკურენციის დასკვნა გვეუბნება, რომ მოსაგვარებელია, ხარისხის კონტროლისა და მედიკამენტების რეგისტრაციის სისტემა, ამისთვის ნაბიჯები გადადგმულია, თუმცა, სანამ ახალ გადაწყვეტილებას მივიღებთ ჯერ ამ ნაბიჯების შედეგებს უნდა დაველოდოთ. საბოლოოდ, გენერიკების შემოღება ნაადრევი და ის არამარტო პოზიტიურ შედეგებს ვერ მოგვცემს, არამედ სიტუაციას გაუარესებს“ - განმარტავს ირაკლი მარგველაშვილი.

სამინისტროს ინფორმაციით, ფარმაცევტი მომხმარებელს, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ, გენერიკული მედიკამენტების „პოზიტიური სიიდან“ სამ ყველაზე იაფ ნაშალს შესთავაზებს. მოქალაქე კი თავად გადაწყვეტს, რომელი მწარმოებლის და რა ღირებულების მედიკამენტი შეიძინოს. სიახლე მე-2 ჯგუფის ფარმაცევტულ პროდუქტს შეეხება. ფარმაცევტული პროდუქტი რეკლამისა და საცალო რეალიზაციის

მიზნით იყოფა სამ ჯგუფად:

ა) პირველ ჯგუფს განეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი, აგრეთვე ლეგალური ბრუნვის რეჟიმის თვალსაზრისით მასთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალება (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალსა და მათი ლეგალური ბრუნვის წესს განსაზღვრავს მინისტრი);

ბ) მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის არასათანადო გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ან/და რომლის მიღებაც არ არის შესაძლებელი მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე, და რომელიც გაიცემა რეცეპტით (მეორე ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტის გამოწერის წესს განსაზღვრავს მინისტრი);

გ) მესამე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის მიღებაც, ინსტრუქციის შესაბამისად, შესაძლებელია ექიმის დანიშნულების გარეშე და რომელიც გაიცემა ურეცეპტოდ.

ფარმაცევტული სფეროს გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შექმნილი სამოქმედო გეგმა ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს დიმიტრი ხუნდაძეს, კომიტეტის წარმომადგენლებსა და სპეციალურად შექმნილ სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო. ჯანდაცვის კომიტეტმა და მონვეულმა სტუმრებმა სამოქმედო გეგმა დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ ცვლილებები ფარმაცევტულ ბაზარს უფრო გამჭვირვალეს გახდის, ხოლო ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდება. სამოქმედო გეგმა, ჯანდაცვის სამინისტრომ, კონკურენციის სააგენტოს რეკომენდაციების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით და საერთაშორისო გამოცდილებით გათვალისწინებით შეიმუშავა.

11 აპრილიდან, ცვლილებები შეეხება ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოწერის წესსაც. ფორმა N2 რეცეპტი მატერიალური სახით (ქაღალდზე) აღარ გაცივდება და მისი გამოწერა მხოლოდ ელექტრონული ფორმით მოხდება.

მომზადდა
უშუსუნა ყანაშვილიმა



„მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანი“

დედა ენა, ან მშობლიური ენა, ზოგადად, განმარტება როგორც ადრეულ ბავშვობაში შეთვისებული ენა. ამ განმარტებაში გვხვდება მცირეოდენი ვარიაციები, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი: „მშობლიური ენა არის ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ინდივიდის ოჯახში მის ადრეულ ბავშვობაში, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ იგი მოცემულ მომენტში ლაპარაკობდეს მასზე“ (გაეროს სოციალურ და ეკონომიკურ საქმეთა დეპარტამენტი, 1959). კანადაში ჩატარებული ენობრივი აღწერებისას გამოიყენებოდა შემდეგი განმარტება: „ენა, რომელიც ინდივიდმა ათვისა ადრეულ ბავშვობაში და დღემდე ესმის“.

ადამიანი სამყაროს წიგნის საშუალებით შეიმეცნება, ნებისმიერი წიგნი ასო-ნიშანთა ისეთი კომბინაციებისაგან შედგება, რომ შევძლოთ თავდაპირველად სიტყვის, შემდეგ წინადადებებისა და ამ წინადადებებში ჩაქსოვილი აზრის გაგება-გაანალიზება. აზროვნების ამ მექანიზმის გათავისებაში ყოველ ჩვენგანს სახელმძღვანელო წიგნი - „დედა ენა“ ეხმარება.

„დედა ენა“ ყოველი ჩვენგანის პირველი წიგნია.

ძველ დროს სკოლებში ქართული ენის ხსენებაც კი აკრძალული იყო, არისტოკრატის ქართულად ხმის ამოღება ერცხვინებოდა, ინტელიგენცია რუსულად აზროვნებდა, ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას ვინღა ჩიოდა. ასეთი განწირულების ჟამს გამოვიდა ასპარეზზე იაკობი.

იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენის“ შექმნამდე ოცი წლით ადრე, 1865 წელს, შეადგინა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეებისთვის“ („დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“). დიდმა პედაგოგმა მშობლიური ენის სამყაროში შესაღწევად ჯადოსნურ გასაღებს „აი იას“ მაშინვე მიაგნო, წიგნს კი უძვირფასესი სახელი „დედა ენა“ 1876 წელს დაარქვა. ოცწლიანი მეთოდოლოგიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დახვეწის შემდეგ, 1876 წელს, მან გამოსცა ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის — „დედა ენა“.

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოექცა პირველი საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებს. მის პირად არქივში უამრავი მასალა ინახება იმის შესახებ, თუ რა მონდომებით ცვლიდა ავტორი თითოეულ სიტყვას ყმაწვილთათვის შესათავაზებელ მოთხოვნასა თუ ლექსში, როგორ აზუსტებდა და ხევენდა მეთოდურ ნიუანსებს, რომ მარტივიდან რთულსკენ სვლა ბუნებრივი, სასურველი და სახალისო ყოფილიყო, როგორ საყოველთაო განხილვის საგნად აქცევდა თითოეული ასოს მოხაზულობას და, რაც მთავარია, როგორ ცდილობდა ყოველი სიახლე დაემყნო უძველეს ქართულ მნიშვნობრულ გამოცდილებაზე.

„თუმცა ამ წიგნის შედგენაზე ერთგულად და კაი ხანი ვიშრომეთ, მაგრამ ყოველგვარი სისარულით მაინც ვერ შევამკეთ და ნაკლებად ვერ ავიცილეთ“ — ნუხდა ავტორი. „დედა ენას“ „ვეფხისტყაოსნის“

ბადალი უწოდეს, რადგან ხალხისათვის ყველაზე საყვარელი და პოპულარული წიგნი გახდა. „დედა ენის“ არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე — ერის სიცოცხლეს. „დედა ენაში“ ორი წლის კურსის მასალაა. წერა-კითხვა ისწავლება ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. 1906 წლიდან „დედა ენა“ 2 წიგნად გამოდის: პირველში მოთავსებულია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში — საყმაწვილო მხატვრული თხზულებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული სტატიები.

„დედა ენას“ საფუძვლად უდევს მაღალი დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური პრინციპები, გამსჭვალულია ხალხურობის სულისკვეთებით. ავტორის სიცოცხლეში (1912 წლამდე) იგი 33-ჯერ გამოიცა. ი. გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ



„დედა ენის“ გამოცემა მიენდო სპეციალურ კომისიას, რომელსაც ლ. ბოცვაძე ხელმძღვანელობდა. 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა. ძირითადად ი. გოგებაშვილის ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი მომარჯვებული ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „დედა ენის“ 1935-1943 წლების გამოცემებში. ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძველზე შედგენილი და 1944 წლიდან სისტემატურად გამოდის ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის „დედა ენა“ (2 წიგნად) I და II კლასელებისათვის (ამჟამად I კლასის „დედა ენა“ 2 ნაწილად გამოდის). ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვითაა აგებული ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი მოსამზადებელი კლასის „დედა ენა“ და იმ I კლასის „დედა ენა“, რომელმაც გაიარა მოსამზადებელი კლასი (პირველად გამოიცა 1973). 1976 წელს ზეიმით აღინიშნა „დედა ენის“ 100 წლისთავი; საიუბილეოდ დაისტამბა 1876 და 1912 წლების გამოცემები.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ყოველმხრივ სრულყოფილებაზე ისიც მიუთითებს, რომ თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგაც თანამედროვე „დედა ენა“ ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს პრინციპებს ემყარება. საანბანე ნაწილის აგების პრინციპი, წიგნის თემატური მხარე იყო საფუძველი იმისა, რომ 1960 წელს ვენესუელის ქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერ-

„მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მესხიერებისა მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანი გულმსურვალედ“ - იაკობ გოგებაშვილი

თაშორისო გამოფენა-კონკურსზე იაკობის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილმა სახელმძღვანელომ პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა. ქართულ სინამდვილეში კი „დედა ენა“ არის ერთადერთი წიგნი, რომელსაც ხალხმა ძეგლი დაუდგა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ ჩაიდო ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელიც, მოგვიანებით, დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიაში“ ჩამოყალიბდა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. 1990 წლიდან 14 აპრილი საქართველოში დედაენის დღედ აღინიშნება. დედაენის დღის დაწესების მიზეზი 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები გახდა — საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა სსრკ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილება

რუსთაველის გამზირზე ათი ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ისინი ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას ითხოვდნენ. ანალოგიური დემონსტრაციები ბათუმშიც გაიმართა. პროტესტმა შედეგად გამოიწვია და კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა.

უდიდესი შემეცნებით-ალმზრდელი მნიშვნელობა აქვს იაკობ გოგებაშვილის უკვდავ დედა ენას. 14 წელია უღევი სიყვარულით იფურცლება უკვდავებას ნაზიარები, ანბანის სახელმძღვანელოების შედგერი დედა ენა. დრო კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მის სიდიადეს. ფასდაუდებელი განძი დევს მასში. იგი არამხოლოდ პატარების, არამედ მთელი ხალხის სახელმძღვანელო გახდა. „ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი, მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის დედა ენას ხელში პირველად აიღებს, აიღებს გადაშლის და თითქოს ისევ დაიბადო - ამ სამზეროს, უცებ სხვაგვარად რომ დაინახავს და თუ დაინახავს, სხვანაირადაც გაიზრებს“, - წერდა დემნა შენგელაია. აპაქი ნერაძე კი ამბობდა: „იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის დედა ენაზე არ აეხილოს თვალები. იგი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“.

დედა ენა მთელ საქართველოში და არა მარტო საქართველოში, დიდსა და პატარას, ახალგაზრდასა და მოხუცში ნერგავდა და ნერგავს ცოდნისადმი ღრმა ინტერესს და მისწრაფებას, ამაღლებს ხალხის წინინიარებას, კულტურას, აზაქიზებას მის ზნეობას, ალვიპებს პატრიოტულ ბრძნობას და ნერგავს უკეთესი მემკვიდრის რწმენას. ი. გოგებაშვილის დედა ენის სახელმძღვანელოთი შესაძლებელი კარგი მოძალაძეების, ღირსეული მამულიშვილების აღზრდა.

მომზადდა ხათუნა ბენაშვილმა

ირაკლი ავაშია - ხვა კახაბონთან (ო.ენაჲ ჩამოღდაო ენაჲ)

ო, ენაჲ ჩემო, დედაო ენაჲ, შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლაჲ და ფრენაჲ, შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაძო, შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო ძალაძო, შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთი შემწიი სძაძრის ჰირთან. ნათესავს ათასს, მეკობარს ათასს, მრუდსა და მართალს, მტერთა და მძათა დაემორდი, მორჩა, ყველა მოთაჲდა, მჭვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდაჲთა, მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს, შენ - ერთს, შენ ვერ გთმობ სძაძრის კარად.

თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწავდა, უტკბილეს დღეთა, უტკბილეს წამთა, უტკბესი შენ ხარ, ენაჲ დედაო, შენ, მწარე ღვინო, ტკბილო სევედაო, შენ, ყოვლის მთქმელო, ყოვლის არ მთქმელო, შენ, გძირთა გძირო, ბრძენო ქართველო,

წარსული მეგლო, წინ გამხედავო, ქვესკნელში მძროძო, ცაში მჭვრეტელო. ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო, შენ, აკვნის ჰომნო, ცრემლო სძაძრის იბერის ენაჲ, ენაჲ თაძარის


შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლაჲ და ფრენაჲ, დედაო ენაჲ, დედაო ენაჲ! დაეცეს, იქნებ სიძაჲრე ყველა, მოისრას, იქნებ, ყველა ეძა ვეღად, დაედოს მტვერი ყველა დიდ სწოვნას, დააკვდეს აზრი ნაპოვნის ჰოვნას. უოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მენი, უოველ მეგლს, იქნებ, დაედგას ფენი, მხოლოდ შენ უტკბობს, შენ ხატად ქცეულს, რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სწულს?

ო, ენაჲ ჩემო, დედაო ენაჲ, შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლაჲ და ფრენაჲ, შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაძო, შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო ძალაძო, შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სძაძრის ჰირთან...

დედოფლისწყაროს გამორჩენილი ადამიანები ერთი ოჯახის ორი საამაყო შვილი

ვაგრძელებთ რუბრიკას „დედოფლისწყაროს გამორჩენილი ადამიანები“. დღეს გაგაცნობთ ერთი ოჯახის ორი ადამიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს ქართული ხელოვნების განვითარებაში. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების დოკუმენტალურ განყოფილებაში ინახება უამრავი საინტერესო მასალა, რომელიც ასახავს ამ ძირძველი კუთხის, ქიზიყის კულტურული ცხოვრების ისტორიას. მათ შორის არიან ფარნაოზ და თამარ ლაპიაშვილები, რომელთა მოღვაწეობის გაცნობისას გული სიამაყით გვესება და დიდ პატივისცემას გრძნობ, როდესაც იგებ, თუ რა დიდი როლი შეუსრულებიათ მათ ჩვენი ქვეყნის კულტურის განვითარებაში. ამ თემებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტები ლალი ბაღაშვილი და ლალი ბასილაშვილი.

ფარნაოზ ლაპიაშვილი
საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ფარნაოზ ლაპიაშვილი დაიბადა 1917 წელს სოფელ მირზაანში, მამა-გიორგი ლაპიაშვილი, შეძლებული გლეხი ყოფილა. მისი წინაპრები ინგილოები ყოფილან, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოს გადმოსულან ქიზიყში და აქ დაფუძნებულან.



გიორგი, იგივე გიგო ლაპიაშვილი (როგორც მას შიანურობაში ეძახდნენ) ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეგობრობისა და თანამოაზრობის გამო გასული საუკუნის 20-იან წლებში, კახეთში განხორციელებულ ცნობილ სადამსჯელო რეპრესიების შეენირა. მისი დაპატიმრების მიზეზიც ქაქუცას წერილი აღმოჩნდა, რომელიც გიგოს აღმოუჩინეს და რომელიც ნაკითხულიც კი არ ჰქონდა, რადგან „ჩეკისტებს“ დაუკავებიათ ის ბიჭი, რომელსაც მასთან წერილი მიჰქონდა, შემდეგ შეუშვიათ ეს ბავშვი სახლში, თვითონაც უკან მიჰყვილიან და დაუჭერიან. გიგო ლაპიაშვილი დახვრიტეს ე.წ. „რევოლუციური სამუშაოს“ ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე.

1922 წელს ლაპიაშვილებს ჩამოართვეს მირზაანის ორსართულიანი სახლი (სხვათა შორის, გიგო ლაპიაშვილის კარის მეზობელი ყოფილა ნიკო ფიროსმანი-ერთი ლობე ჰყოფდათ თურმე) და ოთხი შვილის ამარა დარჩენილი გიგოს მეუღლე-ოღლა ნარინდოშვილი, იძულებული გახდა, თბილისში გადასახლებულიყო. მათ გოგოლის ქუჩაზე, ერთ პატარა ოთახში დაიდეს ბინა. როდესაც მეუღლე დაუპატიმრეს, ფარნაოზის უფროსი ძმა გოგი სულ ჩვილი ყოფილა. მათ ოჯახს ხშირად ჩხრეკდნენ და სახლიდან ყველაფერი გაჰქონდათ. მხოლოდ რამდენიმე ნივთი შემორჩათ და ერთ-ერთი იყო გიგოს ნაქონი, ძვირფასი თვლებით მოჭედული დამბაჩა, რომელსაც ოღლა ბავშვის საფენებში მალავდა. ერთხელ, როდესაც ფილიპე მახარაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მამინდელი პირველი

მდივანი) რეპრესირებულთა ოჯახებს ათვალეობდა, ნახა, როგორ ხატავდა 4 წლის ფარნაოზი იატაკზე კურტნის მუშას. ფილიპეს შეუნიშნავს მისი ნიჭი და ფარნა (როგორც მას ახლობლები ეძახდნენ), სამხატვრო სასწავლებელში გაუწესებია. ფილიპე მახარაძის დახმარებით ოღლა სკოლის სასაიდლოში მოეწყო და ოთხ შვილს იქ გამოუმავებული თანხით არჩენდა.

1933 წელს ფარნაოზმა წარჩინებით დაამთავრა სკოლა შემდეგ მეოთხე პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო მოგვიანებით, 1941 წელს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. ომისა და გაჭირვების წლებში ფარნაოზს ძალიან დაეხმარა ლადო გუდიაშვილი, მისი ხელშეწყობით იგი ჯარში არ წაიყვანეს. უშუალოდ ომის წლებში ფარნაოზი ბატაკაზე მუშაობდა, დამზადებულ ნივთებს (სურათები, ჩანთები, აბაჟურები, ტანსაცმელი) ყიდდა. (ბატაკა ქსოვილის მოხატვის ხელოვნებაა).

1947 წლიდან ფარნაოზ ლაპიაშვილი მარჯანიშვილის თეატრში იწყებს მუშაობას მხატვარ იოსებ სუმბათაშვილთან ერთად. მათ გააფორმეს სპექტაკლები: „უნიადგონი“, „უამთაბერის ასული“, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

ფარნაოზ ლაპიაშვილის მიერ შექმნილი სახასიათო და შთაბეჭდავი კოსტიუმისა თუ დეკორაციის ესკიზებით შექმნილი მრავალი დაუფინსარი სპექტაკლი თუ კინოფილმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავად ლევანის ჩოხა და ქეთოს კაბა ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმისათვის „ქეთო და კოტე“. ამ ფილმის ტიტრებში ფარნაოზ ლაპიაშვილი მხოლოდ კოსტიუმების მხატვრად წერია, თუმცა, ამ ფილმის ინტერიერისა და ექსტერიერის ესკიზებიც მანვე შექმნა. კინოში მუშაობაც ამ ფილმით დაიწყო. შემდეგ კიდევ 3 ფილმი მოჰყვა, „ცისკარა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „დონ კისოტი“.

ფარნაოზ ლაპიაშვილი „მაგდანას ლურჯაზე“ მუშაობდა, მაგრამ ტიტრებში არ არის დაფიქსირებული. ამ ფილმის გადაღებისას იგი ძალიან დაკავებული იყო და თავად მიიყვანა ფილმზე სამუშაოდ ახალგაზრდა მხატვრები კახი ხუციშვილი და გიორგი გიგაური, რომელთა მუშაობასაც თავად კურირებდა. ფილმში ერთ-ერთ პერსონაჟს, მენახშირეს, რომელსაც აკაკი კვანტალიანი ანსახიერებს, ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობაში სხვა გვარი აქვს, თუმცა ფინალურ სცენაში სასამართლოზე აცხადებენ-მიტუა ლაპიაშვილიო. როგორც ფილმის რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ განაცხადა, ეს გვარი ფარნაოზის გამო ახსენეს.

ესკიზების და კოსტიუმების უმეტესი ნაწილი ფარნაოზ ლაპიაშვილის ერთოთახიან ბინაში იქმნებოდა, შემდეგ რუსთაველის თეატრის სამაქვტო საამქროში, ბოლოს „ცეკას“ მდივნის შორა გეგეშიძის ხელშეწყობით (რომელიც ფარნაოზის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი იყო) ორ ოთახიანი ბინა მისცეს. თუმცა, ესეც არ იყო საკმარისი სამუშაოდ. ამის შემდეგ მხატვარმა ინა ინაშვილმა საოცარი უსტი გააკეთა. როდესაც მისმა მეუღლემ, ცნობილმა მხატვარმა რეზო თარხან-მოურავმა, სახელოსნო მიიღო, მან ქმარს უთხრა: სირცხვილია, ფარნა ლაპიაშვილს არ ჰქონდა სახელოსნო და შენ გქონდეს, უნდა დავეთმოთო. მართლაც, უკვე „ორდერმილებული“ სახელოსნო ბატონმა რეზომ ფარნაოზს დაუთმო. სწორედ იქ დაიწყო მისი „გაფურჩქენის ხანა“ და ესკიზების თავმოყრა.

1960 წლიდან იგი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვარია. გაფორმებული აქვს სპექტაკლები: „ოი-დიპოს მეფე“, „ჰამლეტი“, „ანტიგონე“. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მუშაობდა ბალეტზე „გორდა“ და ოპერაზე „მინდია“. ფარნაოზ ლაპიაშვილს გაფორმებული აქვს სპექტაკლები სანკტ-პეტერბურგის, კიევის და კიმიონოვის სცენებზე. 1970 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე, თბილისის სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორაციულ

სახელოსნოს ხელმძღვანელობდა.

ფარნაოზ ლაპიაშვილის მეუღლე - ეთერ სიჭინავა, ექიმი იყო, იგი წლების განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრაზე მუშაობდა, მათ სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა, მეუღლეს ფარნაოზი „ეთიკოს“ ეძახდა. როდესაც მას რაიმეს ჰკითხავდნენ, უპასუხებდათ: „ჩემს ეთიკოს ჰკითხეთ, მან უკეთ იცისო“. მეუღლე მიაჩნდა გენიოსად და ოჯახის „მარშლად“.

ფარნაოზ ლაპიაშვილი გარდაიცვალა 1994 წელს 77 წლის ასაკში, თუმცა, 25 წლით ადრე ფილტვის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. მეუღლე მას 25 წელი საოცრად უვლიდა, ბოლოს დაემართა გრიპი, რაც ფილტვების ანთებაში გადაიზარდა, გარდაცვალების წინა დღეს ფარნაოზ ლაპიაშვილი ლაპარაკობდა და „ხედავდა“ გარდაცვლილ მეგობრებს, მუცაც მოელანდა და თქვა „დედა, ნანა მიმღერეო“. მეორე დღეს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა დააფასა მისი ღვაწლი ხელოვნების სახლის „უკვდავთა ბაღში“, დაიდგა მხატვრის ბიუსტი, ხოლო თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩის შესახვევის 1 ჩიხს მიენიჭა ფარნაოზ ლაპიაშვილის სახელი. ფარნაოზ ლაპიაშვილის ბიოგრაფია შეტანილია „საბალეტო ენციკლოპედიაში“ და „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ფარნაოზ ლაპიაშვილის სურათი „მთვარის დაბნელება“. ფარნაოზ ლაპიაშვილის სახელი მიენიჭა ქალაქ დედოფლისწყაროში ყოფილი გორკის ქუჩას, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი სახელოვანი თანამემამულის სახელი, შეიღებინა დაგვარად უკვდავყოფილია.

თამარ ლაპიაშვილი

ძმას არც უფროსი და თამარ ლაპიაშვილი ჩამოუვარდებოდა თავისი წარმატებული მოღვაწეობით. მისი სახელი საბუნდამოდ დამკვიდრდა თბილისის საოპერო თეატრის ისტორიაში.

თამარ ლაპიაშვილი დაიბადა სოფელ მირზაანში 1914 წელს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაირიცხა 1931 წელს პროფესორ ბახუტაშვილ-შულიგი-ნას კლასში. სტუდენტობის პერიოდშივე მიიპყრო მუსიკალური საზოგადოების ყურადღება თავისი ძლიერი, ლამაზი ხმით, მუსიკალურობით და მუსყაითობით. ახალგაზრდა ხელოვანის მონაცემებით დაინტერესდნენ გამორჩენილი კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი, ისინი საკუთარ ნაწარმოებებს თვითონვე ასწავლიდნენ მომღერალს.

სტუდენტობის წლებში თამარ ლაპიაშვილი მონაწილეობდა საოპერო სტუდიის დადგენებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული გრაფინიასა და ქერუბინოს პარტიები მოცარტის ოპერაში „ფიგაროს ქორწინება“, რომელიც დაიდგა 1934 წელს ა. ფალავას მიერ.

1936 წელს თამარ ლაპიაშვილმა წარმატებით იმღერა ეთერის პარტია ა. ნუნუნავას მიერ დადგმულ საოპერო სტუდიის სპექტაკლში „აბესალომ და ეთერი“. აქ მან გადმოგვცა ეთერის ვოკალურ-ტექნიკურად მეტად რთული პარტიის მუსიკალურ-დრამატული სახე. გამორჩენილმა დირიჟორმა ევგენი მიქელაძემ ახალგაზრდა მომღერალი საოპერო თეატრში მიიწვია.

1938 წელს ლენინგრადში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები, სადაც თამარ ლაპიაშვილმა წარმატებით შეასრულა ეთერის, ლატავრასა და მაროს პარტიები.

ათეული წლების მანძილზე ქართველი ხელოვანი განსაკუთრებით გატაცებით და სიყვარულით მღეროდა ქართულ საოპერო სპექტაკლებში, მას შესრულებული აქვს ნამყვანი პარტიები ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისში“ „ლატავრაში“, დიმიტრი არაყიშვილის თქმულება „შოთა რუსთავე-



ლზე“, ა.ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“ და „ლაშქარაში“, ვ.გოკიელის „პატარა კახში“, შ.შვილდაძის „ამბავი ტარიელი-სა“, ა.კერესელიძის „ბერუჩაში“ და სხვა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული საოპერო ხელოვნების განვითარების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ თავისი სცენური მოღვაწეობის მანძილზე თამარმა სცენა-სა და კონცერტებზე ორიათასჯერ იმღერა ეთერისა და მაროს პარტიები. გასვენების დროსაც მან დაამღერა ზაქარია ფალიაშვილს „მაროს ტირილი“.

თამარის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი ეთმობოდა ევროპულ და რუსულ ოპერებს, მათ შორის, აღსანიშნავია მარგარიტა, („ფაუსტი“), მიქაელა („კარმენი“), ანტონია, (გოფმანის „ხლაპრე-ში“), თამარი, („დემონი“); რუჟია, („ლა-ლატი“), მარფა, („მეფის საცოლე“) და სხვა როლები.

ქართველი ქალის ნიჭიერებაზე ბევრ გამორჩენილ ხელოვანს გამოუთქვამს აზრი. „იშვითად თუ გაიგონებდით ასეთ ხმას“, „ვოკალურად ყოველთვის გა-მოირჩეოდა“, „საოცარ ალფრთოვანებას ვგრძნობდი მასთან სიმღერის დროს“ და სხვა. სიამოვნებით იგონებდა თამარი იმ წლებს, როდესაც ზაქარია ფალიაშვილი ხაზს უსვამდა მის პერსპექტიულობას და მიიჩნევდა ერთ-ერთ საუკეთესო მომღერლად.

თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 30 წლის მანძილზე ჟღერდა თამარ ლაპიაშვილის „წკრილა ხმა“, როგორც ეს ერთხელ აღნიშნა სტალინმა ქსოქში ტრიუმფალური გასტროლების დროს მისი მოსმენისას. მან მთელ დასს მადლობა გამოუცხადა.

1950 წელს თამარს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. იგი გარდაიცვალა 1992 წელს. დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს კიდევ ერთი ნიჭიერი შვილის ფაქიზი, ღვათაბერივი ხმა, მუდამ სიამოვნებას ჰგვირავს მსმენელებს, ამიტომ მისი შემოქმედება დიდად დასაფასებელია.

1980 წელს ქალბატონი თამარი თავად ენვია დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და გადასცა გუკუატი და ფოტოსურათები წარწერით: - „წითელწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს“. ამ ძვირფას შენაწილს მუზეუმი სათუთად უვლის და უფრთხილდება.

ძვირფასო მითხველო, თქვენ კიდევ ორი წარმატებული დედოფლისწყაროელი ადამიანის ცხოვრებას გააცანით და, ეჭვგარეშად, სანტიმარსო იყო თქვენთვის. ჩვენ კვლავაც ვეცდებით, მოვიპოვოთ გამორჩენილ დედოფლისწყაროელთა სახელები და მოგიტოვოთ მათი შესახებ.

ტყის ინვენტარიზაცია ბრძელდება

ტყის ინვენტარიზაცია აქტიურად გრძელდება. დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნებზე გასულ წელს 19 326.0 ჰა ტყის მასივზე ტყის მართვის გეგმები მომზადდა, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. დედოფლისწყარო იმ მუნიციპალიტეტებს შორისაა, სადაც ტყეების აღწერა პირველივე ეტაპზე მოხდა. ასეთი სულ რამდენიმე რაიონია. დანარჩენ ტერიტორიებზე პროცესი გრძელდება. სამინისტროს ცნობით, დღეისათვის განახლებულია ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია; მომზადებულია ტყის მართვის ათწლიანი გეგმები, სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული, ჯამში, 232 316.0 ჰა ფართობისთვის.

საქართველოში ტყის ბოლო ინვენტარიზაციის მასალები 1997 წლით თარიღდებოდა. ინვენტარიზაციის სამუშაოები ქვეყანაში 2013 წლიდან აღდგა. 2013 წლამდე, ტყის ინვენტარიზაცია მართვის გეგმების შედგენისა და სატყეო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით არ განხორციელებულა.

ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოების უწყვეტად განხორციელების და სატყეო სექტორში ახალგაზრდა კადრის მოზიდვის მიზნით, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ახალგაზრდა მეტყევეებისთვის 3 თვიანი სტაჟირების პროგრამა შეიმუშავა. 2019 წელს გადამზადდა და ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებზე დასაქმდა 16 ახალგაზრდა, 2020 წელს - 21, ხოლო 2021 წელს - 8. როგორც სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში დედოფლისწყაროს ტელევიზიის განუცხადეს, ახალგაზრდა კადრების მოძიება, გადამზადება და დასაქმება ეროვნული სატყეო სააგენტოს მთავარ პრიორიტეტად კვლავ რჩება.

დედოფლისწყაროში მცხოვრები გოდერძი აბულაშვილი იმ ახალგაზრდებს შორისაა, რომლებიც სამინისტრომ გადაამზადა, ეროვნულ სატყეო სააგენტოში დაასაქმა და ინვენტარიზაციის პროცესში ჩართო. აბულაშვილი ამბობს, რომ ეს მისთვის სასიამოვნო და იმედგეროვლად ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეა.

გოდერძი აბულაშვილი: „ტექნიკურ უნივერსიტეტში სატყეო პროფესია დავამთავრე. 2019 წლიდან უშუალოდ სატყეო დეპარტამენტში გადამზადება გავიარე და 3 წელია ინვენტარიზაციაში ვარ ჩართული. მეტყევე ტაქსატორი ვარ. ანუ, ვანარმობ ტყის ტაქსატორი მაჩვენებლების მიხედვით აღწერას სხვადასხვა რეგიონში, თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუმცა, მინდა კონკრეტულად დედოფლისწყაროში ვმუშაობდე. ინვენტარიზაციაზე რა თქმა უნდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მე ვიმუშავე. მას მეზობელი ტერიტორიებიც შეუერთდა და ისიც მე აღვწერე. სავლელ სამუშაოები შარშან დასრულდა.“

- რატომ მეტყევის პროფესია?
- ზოგადად, ბუნება ძალიან მიყვარს, ამიტომაც, გადავწყვიტე პროფესიად ეს

სფერო ამერჩია. მიმაჩნია, რომ პერსპექტიული საქმეა. ამ პროფესიას ბევრი მსურველი არ ჰყავს, არადა ეს ძალიან საჭირო საქმეა ჩვენი ქვეყნისთვის. ძალიან სუფთა საქმეა, ბუნებასთან ყოველდღიური ურთიერთობა სასიამოვნოა, ტყეზე ზრუნვა ეროვნული საქმეა. როდესაც ტყეში ყოველდღიურად 15 კილომეტრს გადისხარ და სათითაო კუთხეს აღწერ, უდაოდ დიდ გამოცდილებას იძენ.

- რა სურათს აჩვენებს ინვენტარიზაციის შედეგები?

- სამინისტროს მდომარეობაა ტყეში! ბრაკონიერებს ვერაფრით აჩერებენ. მოქალაქეებს ე.წ. „დრუშბა“ სინდისზე წინ აქვთ გამვებული. ტყეს ისეთი სისასტიკით ანადგურებენ, შეიძლება იტყვიო!... განსაკუთრებით სოციალური ჭრები. აღდგენითი და მოვლის სამუშაოები რა თქმა უნდა ხორციელდება, ნერგების დარგვა. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ტყე არის რესურსი, რომელიც უნდა ავითვისოთ შესაბამისი წესების დაცვით. ამას ემსახურება ტყეთმორწყობა, ანუ ტყის რესურსის ათვისება ტყის ფართობის შემცირების გარეშე. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი პროფესია. სწორად ჭრას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

- ცნობილია, რომ დედოფლისწყაროს საკუთარი ტყეები არ აქვს, ათეულობით წელია ჩვენთან აღარც ტყის მასშტაბური გამწვანება მომხდარა...

- დედოფლისწყაროში ისედაც ცოტა ტყე იყო. 90-იანი წლების შემდეგ ტყე გაჩეხილია უფროსი თაობის მიერ და რეალურად ახლა რაც სახეზე გვაქვს, არის ძველი ტყის ნარჩენი, რომელიც წელი ტემპით, ისევ თავის პირვანდელ სახეს უბრუნდება. მაგრამ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არ აცლია რაიონის ბრაკონიერები აღდგენას, ხე-მცენარეებს ხელახლა ჩეხავენ. კლიმატიდან, ექსპოზიციიდან და ზღვის დონიდან გამომდინარე, საკმაოდ მრავალფეროვანი ტყე გვქონდა, რომლის დიდ ნაწილს წარმოადგენდა მუხა და იფანი, ახლა კი უდიერად, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, მიდის ჩეხვა. გაჩეხილ ნატყე-ვარზე ჯაგრცხილა ბატონობს,“ - ამბობს გოდერძი აბულაშვილი.

სამინისტროში განმარტავენ, რომ ტყის ინვენტარიზაცია ტყის მდგრადი მართვის აუცილებელი პირობაა. ინვენტარიზაციის საფუძველზე ხდება ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება. აღსანიშნავია, რომ ტყის ინვენტარიზაციის სარევიზიო პერიოდი 10 წელია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი ჩვენთან საუბრისას განმარტავს, რომ ინვენტარიზაციის პროცესის დიდი ნაწილი ჯერ არ განხორციელებულა, ამდენად მისთვის წინასწარ რთულია იმის თქმა, რა სურათს მივიღებთ აღწერის პროცესის დასრულების შემდეგ და ჯამში რა გავლენა ექნება მრავალწლიან



ჩეხვას საქართველოს ტყეებზე.

„ინვენტარიზაცია არ დასრულებულა სრულად და ამ დროისთვის ქვეყნის ტერიტორიის 30%-მდეა აღრიცხული. ეს კი საერთო შთაბეჭდილების შექმნის, ან შეფასების საშუალებას არ გვაძლევს. თანაც, მინდა გითხრათ, რომ ზოგადად ტყის ინვენტარიზაციის ამოცანა უკანონო ჭრის დადგენაა არაა, მაგრამ ცხადია სურათს ტყის მდგრადობაზე ნამდვილად იძლევა. ინვენტარიზაცია გაჩეხვასთან ერთად დაადგენს იმასაც, რამდენად ჯანსაღია ის ნეები, რომელიც არ მოჭრილა. ამიტომ გირჩევთ, სამომავლოდ იმ მუნიციპალიტეტების მაგალითზე მოითხოვოთ მონაცემები, სადაც ბოლო წლებში ჩატარდა ინვენტარიზაცია,“ - აღნიშნავს ამირგულაშვილი.

„კლიმატის ცვლილება მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა; შესაბამისად, აუცილებელია, ყველა სექტორში არსებობდეს კლიმატის ცვლილების ადაპტაციისაკენ მიმართული ღონისძიებები, რომელიც არსებულ გამოწვევებს უპასუხებს“, - აღნიშნა მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia“ განხილვის დროს ქ. თელავში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე.

აღნიშნულ 7 წლიან პროექტს საქართველოს მთავრობა დედოფლისწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში განხორციელებს. ნინო თანდილაშვილმა შეხვედრაზე ყურადღება პროექტის მნიშვნელობასა და 7 წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებზე გაამახვილა.

„საქართველო გაერთიანებულია თითქმის ყველა იმ საერთაშორისო შეთანხმებასა თუ კონვენციაში, რომლებიც მიმართულია კლიმატის ცვლილების შეზღუდვისა და ადაპტაციისაკენ. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რომ სრულყოფილად უზრუნველყოთ აღებული ვალდებულებების შესრულება და განვხორციელოთ იმგვარი ღონისძიებები, რომელიც

ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შეზღუდვას არამართო ეროვნულ, არამედ გლობალურ დონეზე“, - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ.

პროექტის უპრეცედენტო მოცულობის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ქვეყანას დაეხმარება ტყის მდგრადი მართვის ჩამოყალიბებაში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას, გაძლიერდება და გაუმჯობესდება ტყისა და ტყის რესურსების კონტროლი და გაიზრდება ზედა-მხედველობის შესაძლებლობები, ასევე, გაუმჯობესდება ტყის ეკოსისტემების დაცვა და მდგრადი სარგებლობა, ტყეების მონიტორინგი და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია. პროექტის განხორციელების ფარგლებში, დასაქმდება ათეულობით ადამიანი.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მიერ გამოყოფილია 33 მლნ ევროს ოდენობის გრანტი; პროექტის განხორციელებისთვის 10 მილიონი ევროს კონტრიბუციას განახორციელებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო შვეიცარიის კონფედერაციის დახმარება 4 მილიონი ევროა; ჯამში, გრანტის სახით გამოყოფილი თანხა 47 მილიონ ევროს შეადგენს.

პროექტის განხილვაში მონაწილეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურების, GCF-ის, გერმანიისა და შვეიცარიის საელჩოების, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორბანიზაციით, სანფორმაციო შეხვედრებში, ეტაპობრივად, ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება.

ეკა ბეჟანიშვილი 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს დაღუპული ყველაზე პატარა გმირია. ის წარმოშობით ტიბეტელი იყო და თბილისში ცხოვრობდა. 16 წლის ეკა კომაროვის სკოლის მე-10 კლასში სწავლობდა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია. მთავრობის სახლის წინ ათობით ათასი მომიტინგე იკრიბებოდა, მათ შორის იყო ეკაც. ის აქციებზე კლასიკურად ერთად დადიოდა და მშობლებსაც ეუბნებოდა, რომ იცოდეთ რა მუსტია, იქიდან წამოსვლა აღარ მოგიწევთ. როგორც დედამისი, ლალი ყანჩაველი იხსენებს, ეკა სახლში ყოველთვის დროულად ბრუნდებოდა. 8 აპრილს მამამ მასწავლებელთან დატოვა, იქიდან ეკა აქციასზე წავიდა. საღამოს 8 საათი რომ გახდა

და სახლში არ დაბრუნდა, მშობლებმა მისი ძებნა დაიწყეს, მივიდნენ სკოლაში, პარლამენტის წინ, დადიოდნენ და მომიტინგეებს ეკითხებოდნენ ეკას შესახებ. ამასობაში ალყაში აღმოჩნდნენ და არეულობაც დაიწყო. ეკას დედა ამბობს, რომ ამ მომენტისთვის აღარაფერი ახსოვს. მესხიერება სრულად მხოლოდ 6 თვის შემდეგ აღუდგა, საკუთარი შვილის დაკრძალვას არ დასწრებია. ლალი ყანჩაველმა მოგვიანებით გაიგო, 9 აპრილის მოვლენების მომსწრე ერთ პოლიციელს უთქვამს, ქერა ქალს დააკლეს შავგვრემანი, ხუჭუჭა გოგოო, ეს იყო ეკა. ეკა ბეჟანიშვილი დღეისათვის ანარმობდა სადაც ერთი ასეთი ფრაზა ეწერა - „ადამიანი ისე როგორ უნდა მოკვდეს, რომ საკუთარი კვალი არ დატოვოს“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბელა ქადაგიძეს დის ვინარას გარდაცვალების გამო

შვილები: ფიქრია, მანანა; შვილიშვილები: მერი, თეკლე, ერეკლე მოძღვრისძვილები; მაგდა და გვანცა კოჭლამაზაშვილები, სიძეები: გოგი მოძღვრისძვილი, რამაზ ხელაშვილი, გიორგი კატკაჭაშვილი, ლევან კომლაძე; რძალი ნანიკო ზურიაშვილი და 12 შვილთაშვილი იუნყებთან ანზორ პანშიაშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა 6 აპრილს, ქ. დედოფლისწყაროში.

მონატრება

თენგიზ იაკობიშვილი

რა ტკბილია წარსულის მოგონება და რა მწარეა მწუხარებით გამოწვეული დღევანდელი რეალობა ჩვენთვის. ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ. შენი გარდაცვალების ამბავმა ყველა შეგვძრა, უცებ მოიცვლე ბრგე ვაჟკაცი. გავიდა ერთი მტანჯველი წელი უშენოდ. შენი გარდაცვალების დღეს შევიკრიბებით შენი ოჯახი, ახლობლები, მეგობრები, მეზობლები და მოგიგონებთ, როგორც კეთილ და ჰუმანურ ადამიანს. გავისხენებთ შენს ხანგრძლივ, თავდაუზოგავ შრომას შენი ოჯახისა და რაიონისთვის. შენთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხომ ადამიანის სიყვარული იყო, რომელიც შენ ღირსეულად დაიმსახურე საზოგადოებისგან.



აგინებთ წმინდა სანთელს, ამით გამოუხატავთ იმ დიდ მონატრებას, რომელსაც შენს მიმართ ვგრძნობთ და პატივს მივაგებთ შენს სსოვნას.

ნათელში იყავი, ჩვენო მონატრებულო თენგიზ, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა. განისვენე, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი მშულო და შვილები

„ჩვენ 30 აპრილი“ ანუ ბავშვები სტერეოტიპებით არ იზადებიან !

მისამართი: ცხრა ძმის ქ. N5 დედოფლისწყარო;

მასპინძელი: დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შვედური ორგანიზაცია „გლადა ჰუდვიკ თეატრი“ და თემი „ქედელი“;

სტუმრები: ნებისმიერი მსურველი, ვინც დაინტერესებულია შშმ პირთა თემით და ფოტოგრაფიებით;

თუკი ფოტოგრაფიების გახსნის ცერემონიას 7 აპრილს ვერ დაესწარი, გული არ დაგწყდება. 7 აპრილიდან 28 აპრილამდე დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მისი ნახვის საშუალებას კვლავაც გაძლევთ. გახსნის დღეს, ახალ საგამოფენო სივრცეში, რომელიც სულ მოენყო, საოცარი, თბილი ატმოსფერო ტრიალებდა. 30 განსხვავებული ადამიანი, 30 პიროვნება, 30 შშმ პირი, საკუთარი ისტორიით, წარსულითა და მომავლის იმედით თვალბრუნებდა. აი გამოფენის მთავარი გმირები, რომლებიც სივრცეში გიყურებენ - თამუნა 28 წლის, ბორია 48 წლის, თორნიკე 16 წლის, მიშა 47 წლის და ა.შ. მათი ისტორიები არც თუ ისე ადვილი მოსასმენი და ნასაკითხია, ისინი ხშირად მძიმეც კია, მაგრამ მათ მომავლის იმედი და საზოგადოების რწმენა ჯერ კიდევ აქვთ.

დედოფლისწყარომდე ამ ფოტოგამოფენამ დიდი და გრძელი გზა განვლო. პირველად წარსდგა თბილისში, ერთ-ერთ საგამოფენო სივრცეში, შემდეგ გამოიფინა სიღნაღში, სიღნაღიდან ისევ თბილისში, ახლა კი თემში „ქედელში“ ჩამოვიყვანეთ ის დედოფლისწყაროში იმისთვის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოებასაც კარგად გაეცნო ეს ადამიანები. დედოფლისწყაროს შემდეგ ფოტოგამოფენის წარდგენა იგეგმება გურჯაანსა და თელავში. გამოფენა „ჩვენ - 30 აპრილი“ მომზადდა პროექტის „ბავშვები სტერეოტიპებით არ იზადებიან“ ფარგლებში. ლევან ხერხეულიძისა და არ-

ჩილ ქიქოძის ფოტოგამოფენა სიღნაღსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში მცხოვრები შშმ მოზარდების და ადამიანების ისტორიებს მოიცავს, რომელთა შესახებ ფოტოგამოფენა და წიგნი შედგური დაფინანსებით მომზადდა. პროექტს ახორციელებს შვედური ორგანიზაცია „გლადა ჰუდვიკ თეატრი“, მხარდამჭერია თემი „ქედელი“. გამოფენა დედოფლისწყაროში თემი „ქედელის“ დამფუძნებელმა ლალი ხანდოლიშვილმა გახსნა.

ლალი ხანდოლიშვილი, თემი „ქედელი“ დამფუძნებელი: „დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილია 30 ფოტო თავისი არც თუ ისე მსუბუქი ისტორიებით. ეს ადამიანები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან. მათ შორის არის თემი „ქედელის“ რვა ბენეფიციარი. მოკლედ გეტყვით ჩვენი ორგანიზაციის შესახებ, თუ ვინ ვართ და რას ვაკეთებთ. თემი „ქედელი“ საცხოვრებელი ერთობაა, სადაც შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ზრდასრული ადამიანები ღირსების შესაფერ, ოჯახურ გარემოში ცხოვრობენ 1999 წლიდან. თემში არსებულ შრომით-თერაპიულ სახელოსნოებში საქმიანობით, მაცხოვრებლებს ეძლევათ საკუთარი უნარებისა და სურვილების რეალიზების საშუალება. ქედელის მიზანია თავის მოსახლეებს გამოუმუშავოს დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევები. საცხოვრებელს გარეთ შრომითი ჩართულობით თუ კულტურული აქტივობებით ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმის შემცირებას. თემში მოქმედი სოციალური სახარმოებია:

- არტ-კაფე ქედელი და საცხოვრებელი ქალაქ სიღნაღში;
- ხის სადურგლო — სადაც მზადდება სათამაშოები, სკამები, მაგიდები და ა.შ;
- საქსოვი — სადაც ნატურალური ნედლეულით დაზავებულ ვესოვთ ქსოვილებს და ასევე ვკერავთ ეკოლსა და სხვადასხვა აქსესუარებს;

- ბაღი და სასათბურე მეურნეობა — ძირითადად ჩვენი მოხმარებისთვის მოგვყავს ხილ-ბოსტნეული;
- ხილისა და სამკურნალო მცენარეების სანარმო;
- მეცხოველეობის ფერმა - საკუთარი მოხმარებისთვის ქედელის შორსმდებელი მიზანი, შშმ ადამიანებისთვის მდგრადი მომავლის და სამუშაო პირობების შექმნაა. ამჟამად ჩვენთან ცხოვრობს 28 შშმ პირი. გვაქვს უკვე სამი სახლი,

სადაც ისეთი გარემოა შექმნილი, რომ ამ ადამიანებს უწინდებლად ღირსების გრძობა, რეალიზებისა და ექვევით სტიმული იყვენ საზოგადოების ღირსეული წევრები. ჩვენ გვყავს ასევე ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, სადაც ჩვენი ბენეფიციარები აქტიურად მღერიან, კონცერტებში მონაწილეობენ, ეცნობიან საზოგადოებას. ლალი ხანდოლიშვილმა ფოტოგამოფენის მთავარ გზავნილზეც ისაუბრა: „მთავარი მესიჯი არის შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, ამავდროულად მათ აქვთ სრული უფლება იყვნენ, იცხოვრონ, რეალიზდნენ ჩვენს სოციალურ სფეროში. ჩვენ ე.წ ტიპური განვითარების ადამიანები, ვალდებულები ვართ მივიღოთ ისინი და ერთმანეთიც ისეთები, როგორც ვართ. ეს არის მთავარი სათქმელი.“

შეკრებილ საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართა თემი „ქედელი“ მსხვერპლ-მშენებელმა თეა ყარაბაგოვიძემ. „ეს ადამიანები ამ ფოტოგამოფენით საუბრობენ თავიანთ თავზე. ისინი ძალიან ღია არიან საზოგადოებისთვის. ისინი ცდილობენ ისტერეოტიპები რაც მათ მიმართ არსებობს დღევანდელ სოციალურ, დაანგრიონ. ამ ფოტოგამოფენის ავტორები თითოეულ ამ ადამიანთან მივიდნენ და გულითადად გაესაუბრნენ. ფილმით კი მიხვდებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტიგმისა და სტერეოტიპების მსხვერვა, იმისთვის, რომ საზოგადოება მთლიანი იყოს და ურთიერთობები ჯანსაღად და თავისუფლად მიმდინარეობდეს. ეს ფილმი გვაძლევს ძალიან დიდ სტიმულს იმისთვის, რომ გავაკეთოთ ბევრი რამ თავად ამ ადამიანებისთვის, რათა მათ მიმართ ცნობადობა გაიზარდოს, და ის სტიგმა, რომელიც არსებობს მენტალური შეზღუდვის მქონე ადამიანების შესახებ, იქნას შეცვლილი. ეს ფილმი დამოუკიდებლად გვესაუბრება სწორედ ამას.“

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ილია მარტყოფლიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი ქეთევან მჭედლიშვილი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი ლალი გურასაძე. გამოფენის გახსნას დედოფლისწყაროს დაინტერესებული საზოგადოების ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ესწრებოდა.

„შშმ პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში და მათ შესახებ ცნობადობის ამაღლება, დე-



დეფლისწყაროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, ამიტომ ჩვენ ყოველთვის მივსალმებით ამგვარ აქტივობებს. ახლაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უმასპინძლა ფოტოგამოფენას შშმ პირთა შესახებ, რომელიც 30 ისტორიას აერთიანებს. ეს ისტორიები გარდა ფოტოებისა, წიგნადაცაა აკინძული. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ მათ, რომელთა უმრავლესობაც სიღნაღში ცხოვრობს, თემი „ქედელის“ ბენეფიციარები არიან და მათი დედოფლისწყაროებისთვის გაცნობა სწორედ ამ გამოფენით მოხდება. ის 28 აპრილამდე დარჩება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ასე რომ, ნებისმიერ მსურველს მისი დათვალიერება სხვა დღეებშიც შეეძლება. ენციეთ საგამოფენო დარბაზს და მოინახულეთ გამოფენა“ - აღნიშნა გაზეთ „შირაჟთან“ საუბრისას დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსმა ილია მარტყოფლიშვილმა.

გამოფენის გახსნის შემდგომ მონეყო შვედური ფილმის, „მოდის ჩვენება - გლადა ჰუდვიკიდან ნიუ-იორკამდე“. ღონისძიება გამართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მხარდაჭერით. გამოფენა დედოფლისწყაროში თვის ბოლომდე დარჩება. დასრუდება თავისუფალია. ამ გამოფენას იმდენად დიდი ემოციური დატვირთვა აქვს, მის ნახვას ნამდვილად არ ინახებთ. ეს ადამიანები უნდა გაიცნოთ, უნდა ნახოთ ისინი, რადგან მიხვდებით, რომ „ბავშვები სტერეოტიპებით არ იზადებიან“! მადლობა სწორედ მათ, რომ გვიზიარებენ საკუთარ ისტორიებს და იღებენ ჩვენს ყურადღებასა და სითბოს. მადლობა მათ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობისთვის!

შუშუნა ყანაგაშვილი
სამუშაო პანაშვილი



ულოცავენ!

განსიკ თოფიშვილს! მარიანა მახვილს! სააქციო საზოგადოება „ნობეკოს“ თანამშრომლები ულოცავენ ბესიკ თოფიშვილსა და მარიანა მახვილს, ქალიშვილის ეკა თოფიშვილის გაბედნიერებას. ახალდაქორწინებულებს ბაქარ გელაშვილსა და ეკა თოფიშვილს უსურვებენ ბედნიერ თანაცხოვრებას, ულევ სიხარულსა და აკვნათა სიმრავლეს.

ახალი პროექტი დედოფლისწყაროში

გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით, დედოფლისწყაროში ახალი პროექტი დაიწყო, რაც გულისხმობს სოფელ არხილოსკალოში „ცოდნის სახლის“ ბაზაზე, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრის შექმნას, ინტენსიური ტრენინგების ჩატარებასა და სერტიფიცირებული აგრონომიული განათლების სპეციალისტების მომზადებას. პროექტის მიზანია პოპულარიზაცია გაუნიოს რეგენერაციულ აგროკულტურასა და გარემოსდაცვითი მიდგომებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ასევე ხელი შეუწყოს ფერმერებისა და საოჯახო მეურნეობების გაძლიერებას საჭირო უნარებითა და ცოდნით. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრი“ - CRA, რომლის პარტნიორია ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შექმნილი დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი. შერჩეული პირები უფასოდ გაივლიან 4 თვიან სასწავლო კურსს, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს, მათ შორის მცირე საწარმო მეურნეობისა და სადემონსტრაციო ნაკვეთის ერთობლივ შექმნას. კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატებს, პროექტის დასრულების შემდეგ კი ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებენ მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ფერმერებსა თუ შინამეურნეობაში ჩართულ ქალებსა და ახალგაზრდებს. ტრენინგებს ჩაატარებს პროექტის ექსპერტი გიანაზაძე.

ამინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 11.04	სამშაბათი 12.04	ოთხშაბათი 13.04	ხუთშაბათი 14.04
დღე	ღამე	დღე	ღამე
☀️	☁️	☁️	☁️
21°	9°	21°	5°
პარასკევი 15.04	შაბათი 16.04	კვირა 17.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე
☀️	☁️	☀️	☁️
16°	5°	18°	7°
19°	8°		

გამომცემელი შპს „შირაჟი“
 დირექტორი ინგა შიოლაშვილი
 რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
 წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაგაშვილი (ყურნალისტი); ელზა სარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჟის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.